№2

თებერვალი, 2021წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს!

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა 2020 წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინა

გვ:2



როგორია ეპიდ ვითარება ბოლნისში პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ - ინტერვიუ მაკა მამარდაშვილთან

გვ:3

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მიმდინარე წელსაც განხორციელდება

გვ:3

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა 2020 წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს დეპუტატებს, არასამთავრობო სექტორსა და მედიას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. დავით შერაზადიშვილმა ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტში გასულ წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და სოციალურ პროგრამებზე, ანგარიშის დასრულების შემდეგ კი სამომავლო გეგმებზე და 2021 წლის მნიშვნელოვან პროექტებზე ისაუბრა.

დავით შერაზადიშვილმა დაწვრილებით მიმოიხილა საკარანტინო პერიოდი, როდესაც ბოლნისი წითელ ზონად გამოცხადდა და პანდემიამ ყველა გააერთიანა, მერია მუშაობის 24 საათიან რეჟიმზე გადავიდა, შეიქმნა საგანგებო შტაბი, არაერთი სოციალური, საგანმანათლებლო თუ საქველმოქმედო აქცია ჩატარდა, გაწეული მუშაობისთვის მერმა მადლობა გადაუხადა ბოლნისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, ეპიდემიოლოგებს, სამედიცინო პერსონალს, ბიზნესსექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მაჟორიტარ დეპუტატს და ქვემო ქართლის რწმუნებულს.

მიუხედავად რთული გამოწვევისა, მუნიციპალიტეტში არ შეჩერებულა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამები, რომელიც ჯანდაცვის რეკომენდაციების გათვალისწინებით ხორციელდებოდა.

მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობდა პრიორიტეტული მიმართულებებით. 2020 წელს 10 966 414 ლარის ღირებულების 149 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. პირველმა პირმა ანგარიშის წარდგენისას გამოყო ის ძირითადი პროექტები, რომელიც ადგილობრივებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, ტურისტების მოზიდვის მიზნით, მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ლოკაციის რეაბილიტაცია. გასულ წელსაც, პრიორიტეტი მოწყვლადი კატეგორიის ოჯახების დახმარება იყო, სოციალური მიმართულებით ბიუჯეტიდან 3 302 900 ლარი დაიხარჯა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მუშაობის სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა, გენდერული პოლიტიკა და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა, ასევე მნიშვნელოვან საკითხად რჩება ახალგაზრდული მიმართულების ხელშეწყობა, დისტანციური სწავლების მიუხედავად 2020 წელს არ შეწყვეტილა სტუდენტების დაფინანსება. სტიპენდიით 282 ახალგაზრდამ ისარგებლა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 95 800 ლარი დაიხარჯა.

„მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოებას 2020 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მივაწოდე. მოგეხსენებათ, 2020 წელი, პანდემიიდან გამომდინარე, გამოწვევებით სავსე წელი იყო. საკარანტინო პერიოდის განმავლობაში მერია მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადავიდა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩვენ ჯამში 13 500 სასურსათო პაკეტი დავარიგეთ. საკარანტინო პერიოდში თავდაუზოგავი შრომისთვის ჩვენს მედიკოსებს, პოლიციელებსა და მოხალისეებს მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო. პანდემიის მიუხედავად, გასულ წელს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობა არ შეწყვეტილა. 2020 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტში 11 მილიონამდე ლარის ღირებულების 149 ინფრასტრუქტურული პროექტი წარმატებით განვახორციელეთ. გასულ წელს კი სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით, 3 300 000 ლარი დავხარჯეთ. დარწმუნებული ვარ, 2021 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის კიდევ უფრო წარმატებული აღმოჩნდება და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის კვლავ არაერთ მნიშვნელოვან პროექტს განვახორციელებთ“, - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

„გუნდის მიზანი უმაღლეს ლიგაში გადასვლა და ყველა მატჩის მოგება იქნება“- აცხადებს ლევან სილაგაძე

ეროვნული ლიგა 2-ის 2021 წლის სეზონი, სტარტს პირველ მარტს აიღებს. ჩემპიონატი ოთხ წრედ ჩატარდება. გუნდები 36 ტურს ითამაშებენ.

ბოლნისის „სიონი“, პირველი ტურის მატჩს, ორ მარტს, სტუმრად რუსთავში "რუსთავის" წინააღმდეგ გამართავს.

ბოლნისის "სიონი" ახალი დირექტორით და ახალი გუნდით წარსდგება რუსთავში. რამოდენიმე კვირაა, „სიონს“ ახალი დირექტორი ჰყავს. ლევან სილაგაძე , კლუბის უკეთესი მომავლისთვის იზრუნებს. აქამდე ის "რუსთავში" მუშაობდა. როგორი იქნება ახალი ,,სიონი'', როგორ შეხვდება კარსმომდგარ სეზონს ეროვნულ ლიგა 2-ში და შეძლებს თუ არა "სიონი" ელიტაში კვლავ აღზევებას, ამ ყველაფერზე კლუბის ახალი დირექტორი გვესაუბრება.

-პირველ რიგში გილოცავთ ჩვენს ქალაქში ჩამობრძანებას, საინტერესოა, რა დაგხვდათ და რა სიახლეებით იწყებთ?

-მოგესალმებით ყველას, პირველ რიგში ბოლნისელებს, უძველესი ქალაქის შვილებს, სადაც ფეხბურთი ყველას უყვარს. სწორედ ასეთივე განწყობა დამხვდა, რომ "სიონმა" უნდა იბრძოლოს მაღალი მიზნებისთვის. ქალაქის მერი დავით შერაზადიშვილიც და RMG-ის ხელმძღვანელებიც იგივეს ფიქრობენ. ყველას უნდა, რომ "სიონი" იყოს წარმატებული გუნდი, ამისთვის კი მაქსიმუმი უნდა გავიღოთ. სიახლე ბევრია, გვაქვს აბსოლუტურად ახალი გუნდი და გვყავს ძალიან ძლიერი ფეხბურთელები. გუნდის მიზანი უმაღლეს ლიგაში გადასვლა და ყველა მატჩის მოგება იქნება.

- სასიამოვნო მოსასმენია, რომ ასეთი კარგი მიზნები გაქვთ, თქვით რომ გუნდმა არაერთი კარგი ფეხბურთელი შეიმატა, ამით დასრულდა გუნდის შერჩევა, თუ შესაძლოა ლეგიონერების მოწვევაც გახდეს საჭირო?

-ნამდვილად, კარგი გუნდი შეიკრა, ისეთი ფეხბურთელები არიან თავმოყრილი, რომ აუცილებლად მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. გუნდის სელექციის საკითხებს სამწვრთნელო შტაბი წყვეტს. ვფიქრობ არის რამდენიმე პოზიცია, სადაც არ აწყენდა გაძლიერება გუნდს.

ზოგადად, აქცენტი ქართულ კადრებზე კეთდება, მაგრამ თუ გამოჩნდება ხარისხიანი ლეგიონერი და მისთვის მისაღები იქნება ჩვენი შეთავაზება, უარს არ ვიტყოდით.

-წლებია ბოლნისში საწვრთნელი ბაზის პრობლემა დგას, მოგვარებას როგორ გეგმავთ?

- ვთამაშობდი წლების წინ ბოლნისში და აქ არაფერია ჩემთვის უცხო. ჯერ-ჯერობით, ისევ თბილისში ივარჯიშებენ, მაგრამ იმედს ვიტოვებ, მალე მოვაგვარებთ ამ საკითხსაც.

- ბოლნისში ბევრი ახალგაზრდა თამაშობს ფეხბურთს, ოცნებობს კარგ

ფეხბურთელობაზე, როგორ ფიქრობთ, სჭირდება თუ არა ,,სიონს'' საკლუბო აკადემია?

- სჭირდება არა, ასე ვთქვათ, აუცილებელია. ძლიერი საკლუბო აკადემია კლუბის წარმატების ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელია. რუსთავში მუშაობისას საფეხბურთო სკოლის საკითხი რიგი მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ჩაიშალა. "სიონს" სჭირდება ძლიერი საფეხბურთო სკოლა, რომელიც კლუბთან ერთად განვითარდება და გაზრდის მოთამაშეებს. ეს კლუბის მომავალია და ვეცდები ვიზრუნო ამ საკითხზე.

-წარმატებებს გისურვებთ ბატონო ლევან. ორ მარტს პირველი თამაში გაქვთ და იმედია გაახარებთ ბოლნისელ გულშემატკივრებს.

-დიდი მადლობა, ამაში დარწმუნებული ვარ. ,,სიონს"თავისი მიზნები აქვს. ფავორიტად დავასახელებდი "გაგრას", რომელმაც მოიპოვა კონფერენსლიგის საგზური, გააძლიერა გუნდი, შეინარჩუნა შემადგენლობის ძირითადი ბირთვი და მიაღწია წარმატებას. ჩვენც ამავე გზით ვივლით.

დარეჯან ოქრუაშვილი

როგორია ეპიდ ვითარება ბოლნისში პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ - ინტერვიუ მაკა მამარდაშვილთან

2020 წელი თანამედროვე მსოფლიომ კორონავირუსთან ბრძოლით დაიწყო. აქამდე უცნობმა ინფექციურმა დაავადებამ, რომელიც ჩინეთში წარმოიქმნა, დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტი მოიცვა. 2020 წლის 30 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი მსოფლიო საფრთხედ მიიჩნია და 11 მარტს პანდემიად გამოაცხადა.

საქართველოში დადასტურებული პირველი შემთხვევიდან, ზუსტად ერთ თვეში, 23 მარტს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში პირველი COVID-ინფიცირებული დადასტურდა. რთული ეპიდემიოლოგიური რისკის გამო, ბოლნისი ჩაიკეტა, განთავსდა ბლოკპოსტები, დაიკეტა ყველა ობიექტი, გარდა სასურსათო, სააფთიაქო ქსელებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურისა.

საკმაოდ რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ბოლნისის მუნიციპალიტეტი, შეიქმნა საგანგებო შტაბი, რომელიც 24 საათიან რეჟიმში იკვლევდა მოსახლეობის საჭიროებებს, მთელმა საზოგადოებამ ერთად გაიარა ძალიან მძიმე დღეები, თვეები, თუმცა პანდემია ჯერ კიდევ არ დასრულებულა. როგორია ეპიდ ვითარება ერთი წლის შემდეგ ბოლნისში. პანდემიის წლისთავს გაზეთ „ბოლნისთან“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელი მაკა მამარდაშვილი აჯამებს.

მოგესალმებით ქალბატონო მაკა, თითქმის ერთი წელი გავიდა პანდემიის დაწყებიდან, გთხოვთ გაიხსენოთ ის პერიოდი, როდესაც შიშის და სტრესის ქვეშ გიწევდათ უხილავ მტერთან, 24 საათიან რეჟიმში ბრძოლა, რა შეიცვალა ამ მხრივ დღეს, მიმოვიხილოთ განვლილი პერიოდი, როგორია სტატისტიკური მონაცემები პირველი ტალღიდან დღემდე?

-საქართველოში კოვიდ-19-ის პირველი ფაქტი დადასტურდა 2020 წლის 26 თებერვალს, ერთი წელი გავიდა, რაც ვებრძვით ამ ინფექციას. ბოლნისში კი, პირველი შემთხვევა 23 მარტს სოფ ნახიდურში დაფიქსირდა, რაც დიდი გამოწვევა იყო ჩვენთვის, ეპიდკვლევაზე რომ მივდიოდით ვიცოდით, რომ არ უნდა დაგვერღვია და მკაცრად უნდა დაგვეცვა ინფექციის კონტროლის ღონისძიებები, უნდა გვეკონტროლებინა ასევე ერთმანეთი, შემდგომ ერთს მოჰყვა მეორე, მესამე, სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში დაფიქსირდა კოვიდ ინფიცირებული, მაშინ არსებული რეკომენდაციით ეპიდკონტროლის მიზნით, საჭირო გახდა სოფლების იზოლაცია და უკვე იზოლირებულ სოფლებში მუშაობა, რაც საკმაოდ ძნელი და რისკის შემცველი იყო, როგორც ჩვენთვის, ასევე იმ პირებისთვის რომლებიც ჩვენთან ერთად მუშაობდნენ 24 საათიან რეჟიმში. საბოლოო ჯამში პირველ ეტაპზე ბოლნისში აღირიცხა 195 კოვიდ ინფიცირებული, რომელთაგან გამოჯანმრთელდა 191, ხოლო გარდაიცვალა 4 ადამიანი, მათ შორის 1 სამედიცინო პერსონალი. პირველი ტალღის მერე გვქონდა პაუზა, ივნისის მერე ბოლნისში პირველი კოვიდ ინფიცირებული უკვე სექტემბრის ბოლოს აღირიცხა და თანდათან გვქონდა შემთხვევების კატასტროფული მატება, დღეში დასტურდებოდა 50- დან 80- მდე კოვიდ ინფიცირებული, შედეგად მეორე ტალღის დროს გვყავდა 2125 დადასტურებული კოვიდ შემთხვევა, რომელთაგან გარდაიცვალა 34 , 3 გადის მკურნალობას და 2088 ადამიანი გამოჯანმრთელდა.

რაც შეეხება ბოლნისში კოვიდ ინფექციის სრულ სტატისტიკას, სულ დადასტურებულია 2320 კოვიდ შემთხვევა, გარდაიცვალა 38, მკურნალობს - 3, გამოჯანმრთელდა 2279 ადამიანი;

- რეგულაციების შემსუბუქების პარალელურად, როგორი ეპიდვითარებაა ბოლნისში დღეს?

-დღეს ბოლნისში გვაქვს კეთილსაიმედო ვითარება, რასაც აუცილებლად სჭირდება შენარჩუნება, თან იმ ფონზე, როცა ეტაპობრივად ყველანაირი შეზღუდვა იხსნება. ჩვენთან უკვე ფიზიკურ გარემოში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. სწავლა დაიწყო 1 თებერვალს, გაიტესტა მასწავლებლების 20% პსრ-ით,ხოლო 80 ანტიგენის სწრაფი ტესტით, ბოლნისის მასშტაბით უკვე ჩატარდა 2 ტესტირების ეტაპი, შედეგად არ გამოვლენილა არცერთი შემთხვევა. არსებული რეგულაციის შესაბამისად, მასწავლებელთა ტესტირება მიმდინარეობს ყოველ 14 დღეში ერთხელ. 1 მარტიდან კი საბავშვო ბაღებმა დაიწყო ფუნქციონირება. მიმდინარეობს აღმზრდელების ტესტირება, რომელიც შემდეგშიც გაგრძელდება.

თებერვლის თვეში სულ ჩატარდა 3173 კოვიდ ტესტირება, მათ შორის ანტიგენის სწრაფი ტესტით 2399, ხოლო პსრ -ით 774, შედეგად დაფიქსირდა 27 კოვიდ ინფექცია, აღსანიშნავია, რომ ბოლო დადასტურებული შემთხვევების ინფექციის წყარო არ უკავშირდებოდა თვითონ ბოლნისის შემთხვევებს და იყო შემოტანილი ძირითადად თბილისიდან. ბოლნისში ისევ გვაქვს კოვიდ კლინიკა, სადაც 3 პაციენტი გადის მკურნალობას;

-რა დამაიმედებელ მესიჯს გაუგზავნით მშობლებს, რომლებიც ჯერ კიდევ ფიქრობენ გაუშვან თუ არა შვილები სკოლებსა და ბაღებში, რამდენად დაცულია მათი ჯანმრთელობა ამ დაწესებულებებში?

-სკოლამდელ და სასწავლო დაწესებულებებს აქვთ შესაბამისი რეკომენდაციები და უნდა იმუშაონ მათი სრული დაცვით, ასეც ხდება, მაგრამ აუცილებლად მნიშვნელოვანია ბავშვებს როგორც სახლებში, ასევე სკოლებში ხშირად შევახსენოთ და გავაკონტროლოთ ის რეკომენდაციები, რომელიც უნდა დაიცვას ყველამ, ასაკის შესაბამისად.

-ელოდებით მესამე ტალღას?

-შეზღუდვების მოხსნასთან ერთად, მაგრამ ეს არ იქნება მასშტაბური, როგორიც იყო მეორე ტალღა, ვფიქრობ, გვექნება შემთხვევების მატება.

-სიმპტომების შემთხვევაში სად შევძლებთ ტესტის გაკეთებას?

-სიმპტომების შემთხვევაში შეგიძლიათ ტესტირება ბოლნისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში, ბოლნისის ცენტრალურ კლინიკაში და უკვე შესაძლებელია შპს ტრიომედშიც.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერ მსურველს, ვისაც სურს კოვიდზე ანტიგენის სწრაფი ტესტის გაკეთება, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა სიმპტომები, შეუძლია მიმართოს ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებს და ჩაიტაროს ტესტირება.

-და მოგვიწევს თუ არა თანხის გადახდა?

-კოვიდზე ტესტირება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არის უფასო. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პიროვნება საკუთარი მიზნებისთვის საჭიროებს პსრ ტესტირებას, მაგალითად მიემგზავრება სხვა ქვეყანაში და ა.შ.

-რას ურჩევდით საზოგადოებას, როგორ დავიცვათ თავი ამ ვერაგი დაავადებისგან?

-ჯერ ისევ თავის დაცვის საშუალება არის პირბადე, დისტანცია და ხელის ჰიგიენა,;

თუ თავს იგრძნობთ შეუძლოდ, დაუკავშირდით ოჯახის ექიმს და მისი რეკომენდაციით ჩაიტარეთ კოვიდ ტესტირება, რათა გამორიცხოთ ეს დაავადება. ვიცით, რომ ქვეყანა კოვიდ ვაქცინის მოლოდინშია.

-მადლობა საინტერესო საუბრისთვის, გისურვებთ ჯანმრთელობას!

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მიმდინარე წელსაც განხორციელდება

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის წელსაც 714 000 ლარია გამოყოფილი. მუნიციპალიტეტი, პროექტების განსახორციელებლად, 100%-იანი დაფინანსების ვალდებულებას იღებს. ჯამში კი მიმდინარე წელს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 1 428000 ლარი დაიხარჯება. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა, სივრცითი-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად შეხვედრები 11 თებერვალს, აკაურთის, ფოცხვერიანის, ძეძვნარიანისა და ძველი ქვეშის მოსახლეობიდან დაიწყო, სადაც მოისმინეს მათთვის საჭირო ინფრასტრუქტურული პრიორიტეტები. სოფლებში ძირითად მოთხოვნად კვლავ სასმელი წყალი, შიდა გზების და გარე განათებების მოწყობა რჩება. მოსახლეობასთან შეხვედრები, კოვიდრეგულაციების სრული დაცვით, ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის 714 000 ლარია გამოყოფილი. მუნიციპალიტეტი პროექტების განსახორციელებლად 100%-იანი თანადაფინანსების ვალდებულებას იღებს. ჯამში კი, წელს ბოლნისში, ამ პროგრამის ფარგლებში, 1 428 000 ლარი დაიხარჯება.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრები დავიწყეთ. მოსახლეობის ჩართულობით თითოეული სოფლის საჭიროებების გამოკვეთა და ამ პრობლემების მოგვარება მოხდება. ვფიქრობ, ამ პროგრამის

ფარგლებში წელს ჩვენი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან არაერთ პროექტს განვახორციელებთ. აღსანიშნავია, რომ შეხვედრები კოვიდრეგულაციების სრული დაცვით მიმდინარეობს. მოხარული ვარ, რომ მოსახლეობა ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული“,- განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

100 წელი გავიდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან

დღეს ამას თანამედროვე ტერმინოლოგია დაემატა და ბორდერიზაცია დაერქვა, ჩვენებურად კი კვლავ ისაა, რაც იყო ასი წლის წინ, ეს ოკუპაცია-ანექსიაა, ახალგაზრდების და ტერიტორიების მიტაცებაა, უამრავი ლამაზი სიცოცხლის ხელყოფაა...

100 წელი გავიდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან, ისტორიას კი შინდისის გმირები და ანწუხელიძე დაემატა...

„თებერვალო, საქართველოს გაზაფხული ხარო...“

...იდგა თებერვალი...

...იდგა ჯიუტი, არაფრისმთქმელი, არაფრის გამომხატველი. იდგა ზამთრის ბოლო თვე კუშტად, მკაცრად, ცივად...

...იდგა და ელოდა, ელოდა გატრუნული, გარინდებული... ელოდა რას იტყოდნენ მასზე, როგორ შეამკობდნენ, როგორ განადიდებდნენ. როგორ ჩააქრობდნენ და გააცამტვერებდნენ, ყველაფერს ელოდა, ყველაფერი იცოდა, მაგრამ მაინც ჯიუტად იდგა და ელოდა. მან იმ დღიდან იცოდა ყველაფერი (არა, იმ დღიდან კი არა, უფრო ადრიდანაც, როდესაც 1921 წ სერგო ორჯონიკიძემ, სტალინს მისწერა: „ჩაგრულთა დამცველი წითელი არმიის გამოჩენამ საქართველოს ტერიტორიაზე აუწერელი აღტაცება და ზეიმი გამოიწვია...თავის მხსნელებს პურ-მარილით ხვდებოდნენ, ბევრნი სიხარულით ტიროდა“. მან უკეთ იცოდა თუ რა, როგორ.. იცოდა, რომ ეს ასე არ იყო... ამიტომ ჩაეცინა იქედნურად საქართველოში ჩამომდგარ თებერვალს. ჩაეცინა და გული დარდმა დაუსერა. მაინც ჯიუტად დუმდა... დრო ულმობლად გადიოდა, ფიქრობდა, დარდობდა და თავის საქმესაც აკეთებდა, თებერვალი ბერავდა...

არც ის გაჰკვირვებია, როცა გაიგონა ვიღაცის ნათქვამი, უფრო სწორად ინკოგნიტოსი, ანუ სამშობლოს სიყვარულით გულდამწვარი, გულანთებული ფრთხილი ქართველის, რომელიც წერდა თურმე ფარულად: „მაგონდება მე ტფილისი, თებერვლის ოცდახუთს, დაღვრემილი, თავზარდაცემული ჩვენი საზოგადოება ზანტად გამოსული ქუჩაზე, თითქოს ცხოვრების მიზანი დაჰკარგვია ამ ხალხს და გაოგნებულს აღარ ესმის რას უნდა ემსახუროს, რა ნაბიჯი უნდა გადადგას, რა გზას მისცეს თავი“.

...რას უნდა ემსახუროს, რა ნაბიჯი გადადგას, რა გზას მისცეს თავი...

რას ემსახუროს, , რას,?...

რა ქნას თებერვალმა, როგორ მოიქცეს, რა გზას დაადგეს. ქებას უსმინოს, თუ ძაგებას, დიდებას თუ განადგურებას, ვის დაუჯეროს. ვის გაჰყვეს, ვის ემსახუროს, როგორ, როგორ ემსახუროს...

ფილიპე მახარაძემ ლენინს აცნობა „მოვლენები განვითარდა რამდენიმე მოულოდნელად, მუშათა კლასი აღმოჩნდა ამ მოულოდნელი ფაქტის წინაშე“.

-გაოგნებულია თებერვალი, რა ხდებაო, ვისგან მოდის ეს მოულოდნელობა და ვისკენ მიემართებაო, ფიქრობს...

ვინ არის ამ ყველაფრის ავტორი, ვინ, რატომ? - რაღა ახლა, რაღა ჩემ დროს, მე ხომ საქმე მაქვს, ჩემი მიზანი, ჩემი გეგმა, მე ხომ უნდა დავასრულო ეს ცივი ზამთარი, მე ხომ გაზაფხულს უნდა დავუთმო ასპარეზი, მაგრამ ო, ეს ოცდახუთი...

„თეთრ ცხენზე მჯდომი ნაბიჯით ნელით,
შემოდიოდა სიკვდილი ცელით“

სიკვდილი ცელით, ცელით რეკავს ზამთრის მიწურული და კვლავ ვერა გაუგია რა...

„მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს,
განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს
და უძრავი იყო თებერვლის ღამე“...

...და იწურება ზამთრის ბოლო ღამეები, ზამთრის ბოლო თვე, ტოვებს სარბიელს თებერვალი, ტოვებს ტკივილით, სინანულით, დარდით სავსე, არ უნდა შავი შტრიხი, გაზაფხულობა, მაისობა უნდა. განსაკუთრებით ოცდაექვსმაისობა...დაკარგულის დაბრუნება, დაკარგული თავისუფლების.

„დედებო, შეამკეთ მათი საფლავები,
საქართველოსთვის რომ დადეს თავები“...

ბუბუნებს თებერვალი, ბერავს თებერვალი, ფიქრობს თებერვალი, გლოვობს მერამდენედ დაჭრილ და დაჩოქილ საქართველოს, გლოვობს თავისუფლების დაკარგვას, წყევლა-კრულვას უთვლის თებერვალი, მოღალატე იმპერიის ლაქია ბობოლებს, რომლებიც ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს უპატაკებდნენ - თბილისზე ფრიალებსო ხელისუფლების წითელი დროშა - და ეს ფრიალი აუმრავ სისხლად და საფლავად დაუჯდა საქართველოს...

„...და ჩემს ფიქრებში ცრემლი გროვდება.
ვიღაც ჩურჩულებს - არ არის მკვდარი,
დროთა მიჯნაზე საღამოვდება,
სადღაც ქვითინებს მწუხარე თარი..“

დრო გადის, ისტორია მეორდება. თითქმის ყველა თვე ერთმანეთს ემსგავსება. თებერვალი კი კვლავ ბერავს... რუსის ჩექმა ისევ მძლავრად იკიდებს ფეხს. მას არც თებერვალი აინტერესებს და არც მაისი, არც ახალ წელს ერიდება, არც შობას, არც ეკლესიას, არც საფლავებს, წინაპართა ძვირფას საფლავებს გვიფეთქებს რუსული ბომბი, არც ლამაზ პატარძალს ერიდება, არ აფასებს იმ დიდ ერთგულებას და სიყვარულს, რომელიც უცხო ტომელებისთვის უცხოა, წარმოუდგენელია ერთგულება, რომელიც ქავქავაძეების ასულმა გამოიჩინა გრიბოედოვისადმი... მაგრამ რა მივიღეთ სანაცვლოდ? დაპყრობა, დამცირება, შეურაცხყოფა...

...ტრაქტატი, გეორგიევსკის ტრაქტატი, მერამდენე პირობა, ხელშეკრულება და მერამდენე დარღვევა, მოტყუება, ბოლოს დაპყრობა, ანექსია, ძვირფასი თავისუფლების წართმევა. თანაც, თურმე ჩვენი სურვილით, სიხარულით, აღმაფრენით...

9 აპრილი, რუსის ჩექმის კიდევ ერთი გამოცდა პატრიოტი ქართველების ზურგზე, რუსის ნიჩბის კიდევ ერთი ასპარეზი სასაკლაოზე, ახალგაზრდების სისხლით მორწყულ მიწაზე.

„...ბოლოს როგორც იქნა, რუსეთმა იშვილა,
პატარა საქართველო, ობოლ საქართველო...“

იშვილა, მაგრამ რად გინდა! საოცრად მკაცრი და უგულო გამოდგა მამობილი.

„გაეპარებოდა ხოლმე მამობილსა
და დედის საფლავზე ტიროდა საქართველო“

მაგრამ თებერვალი მაინც ფიქრობს, სხივი აუკიაფდა გულში იმედის, შეუძლებელია, შეუძლებელია რუსთაველის სამშობლო ვინმემ დააჩოქოს, შეუძლებელია აღმაშენებლის საქმიანობანი უკვალოდ გაქრეს. მერე რა, რომ ისინი ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი, მერე რა რომ 70 წლის მანძილზე იარაღის მეტი არაფერი შეუქმნიათ, მერე რა...

მოვა თებერვალი, კარგი თებერვალი ისეთი კი არა, რომ გვახსოვს, უკეთესი, გმირული... დადგება გაზაფხული, ნაირფერი ყვავილებით მოჩითული გაზაფხული. მოვა და იმედებს მოიტანს, სიხარულს მოიტანს და მაშინ კი, ნამდვილად, ნამდვილად იქნება თებერვალი საქართველოს გაზაფხული...

ბელა ონიანი

გაიცანით „აბიტურიენტთა თანავარსკვლავედი 2021“-ის გამარჯვებული ლიკა გუნაშვილი

31 იანვარს, უპრეცედენტო ინტელექტუალური ინტერნეტთამაში „აბიტურიენტთა თანავარსკვლავედი 2021“ გაიმართა, სადაც საქართველოს 63 მუნიციპალიტეტის, თბილისის 10 რაიონის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საუკეთესო მე-12 კლასელები იღებდნენ მონაწილეობას. უნიკალური საგანმანათლებლო პროექტი, „აბიტურიენტთა თანავარსკვლავედი“ არის დისტანციური, ონლაინ ინტელექტუალური ინტერნეტ გადაცემა, თამაში ონლაინ შეფასებით, რომლის შექმნის ტექნიკური საშუალება მსოფლიოში 3 ცნობილი პლატფორმის ტექნოლოგიური გაერთიანების საფუძველზე მოხდა.

ინტელექტუალური ინტერნეტ თამაში, რომელსაც ანალოგი აქამდე არ ჰქონია, 6 თვიანი შრომის შედეგად შეიქმნა, როგორც სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ ავტორი გოჩა ტყეშელაშვილი აღნიშნავს „ჩართული იყვნენ გენიოსი, მაღალი რანგის პროფესიონალები“.

„აბიტურიენტთა თანავარსკვლავედი 2021“-მა პირველი სტარტი 31 იანვარს აიღო, რომელიც წლის ბოლომდე 6 სასტარტო ონლაინ თამაშით შემოიფარგლება. სწორედ პირველი ინტელექტუალური გადაცემის მონაწილე, „ეტალონ 2019“ მე-2-ე ადგილის პრიზიორი, სოფელ რატევანის საჯარო სკოლის მე-12-ე კლასის მოსწავლე ლიკა გუნაშვილი იყო, რომელმაც 85 საუკეთესო აბიტურიენტთა შორის მე-6 ადგილი ღირსეულად მოიპოვა. ალბათ ეს შეგრძნება ყველამ უნდა გამოსცადოს, როდესაც შენს სახელს და გვარს, სკოლას ასახელებენ, სიამაყის გრძნობა გეუფლება. თითქოს ერთი მტკიცე ნაბიჯი გაქვს გადადგმული ცხოვრებაში წარმატებებისკენ.

ლიკა გუნაშვილი, 17 წლის:

-დამიკავშირდნენ პროექტში მონაწილეობის მისაღებად, მეც სიამოვნებით დავთანხმდი, გადაცემაში მონაწილეობამდე გავიარეთ საჭირო ტექნოლოგიური ტრენინგები, მოვიპოვეთ დაშვების კოდი და ჩავერთეთ უნიკალურ, ინტელექტუალურ, ინტერნეტ თამაშში, „ეტალონში“ მონაწილეობა ჩემთვის პირველი არ ყოფილა. 2019 წელს გამართულ პროექტში მონაწილეობისას მე-2-ე ადგილის პრიზიორი გავხდი, რამაც ერთგვარი ბიძგი მომცა ამჯერადაც მიმეღო მონაწილეობა. „ეტალონი“ არის პროექტი, რომელმაც მრავალი თაობა გამოიარა და მოსწავლეებში გამოცდილების და ცოდნის ამაღლებას ემსახურება. პროექტი ყველა მოსწავლისთვის მნიშვნელოვანია, რადგან მსგავსი ინტელექტუალური თამაში საშუალებას იძლევა გამოავლინო შენი შესაძლებლობები, გაიღრმაო ცოდნა და მიიღო გამოცდილება დასახული მიზნის მისაღწევად“.

ლიკა საუკეთესო მოსწავლეა, სწავლის გაგრძელებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აპირებს, სურს გახდეს პედაგოგი ისტორიის განხრით, რადგან თვლის, რომ „ახალ თაობასთან მუშაობა და მათთვის გამოცდილების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა“. ლიკა მიზნის მისაღწევად ბევრს შრომობს, კითხულობს და თავისუფალი დრო თითქმის არ რჩება. თუ მცირედი პაუზა აქვს, დროს საინტერესო მოვლენების, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ინფორმაციის გაცნობას უთმობს, ამბობს, რომ მწვერვალის დასაპყრობად საჭიროა სწავლა, შრომა, ახლის ძიება და საკუთარი თავის განვითარება.

მარინა გავაშელი

ფუმფულა სათამაშოები ზღაპრული სამყაროდან

მიზნის მიღწევა ყოველთვის შესაძლებელია, მთავარია მოინდომო და იშრომო, მიზანი დაისახა და ბავშვობის საყვარელი საქმე შემოსავლის წყაროდ აქცია. დღეს მის სათამაშოებს იცნობენ, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ზღაპრული სამყაროდან რეალობაში გადმოსული თოჯინები, მხიარული და სახასიათო სახეებით, ანიმაციური ფილმების გმირები დადებითი განწყობით - ეს თვითნასწავლი მეთოჯინის ზაირა შეყლაშვილის შემოქმედებაა. ის სოფელ რატევანში დაიბადა და გაიზარდა, სკოლის დამთავრებისთანავე შექმნა ოჯახი, რის გამოც ვერ დაეუფლა სასურველ პროფესიას, მაგრამ ხელსაქმე, რომლითაც ბავშვობაში თავს ირთობდა, პროფესიად აქცია.

-დავიბადე 1972 წლის 21 მაისს. ვცხოვრობ სოფელ რატევანში. სკოლა წარჩინებით დავამთავრე და მივიღე საშუალო განათლება. 19 წლის ასაკში შევქმენი ოჯახი. მყავს 2 შვილი და 1 შვილიშვილი.

ბავშვობა მახსენდება ძალიან ტკბილად. მენატრება სკოლის პერიოდი და ჩემი მეგობრები, ვისთანაც დიდ დროს ვატარებდი. 13 წლის ასაკში დავინტერესდი სხვადასხვა ხელსაქმით. პირველად დავიწყე ქარგვა, შემდეგ გამიტაცა ქსოვამ და კერვამ, რაც საკმაოდ კარგად გამომდიოდა.

სამწუხაროდ, უმაღლესი განათლება ვერ მივიღე. ამჟამად სოფელ რატევანის საბავშვო ბაღში ძიძად ვმუშაობ.

-როდის დაიწყეთ თოჯინების ქსოვა?

-თოჯინების ქსოვა დავიწყე პანდემიის დროს. დაიხურა საბავშვო ბაღები და შესაბამისად თავისუფალი დრო გამომიჩნდა. საქსოვი ძაფები არ მქონდა. ვნახე ძველი სვიტერები, რომლებიც დავარღვიე და მოვქსოვე თოჯინა.

-პირველი თოჯინა როდის შექმენით?

-პირველი თოჯინა 2 წლის წინ შევქმენი, ჩემს შვილიშვილს მოვუქსოვე დათუნია და ძალიან მოგვეწონა მეც და მასაც.

ქსოვა საკმაოდ რთულია. მასიურად ქსოვა კი საზიანოა ჯანმრთელობისთვის. უარყოფით გავლენას ახდენს მხედველობაზე. ძირითადად ვქსოვ ყაისნაღით, იშვიათად ვიყენებ საქსოვ ჩხირებს. თითოეული შექმნილი ნივთი ძალიან ძვირფასია ჩემთვის. საბოლოო შედეგის მიღების შემდეგ, სიამაყეს ვგრძნობ. ადამიანებისგანაც ბევრი დადებითი ემოცია მოდის. მიხარია, ნამუშევარი რომ მოსწონთ. ამ დროს ჩემში მოტივაცია იზრდება და სურვილი მაქვს, უკეთესი თოჯინები გავაკეთო.

-საიდან ისწავლეთ და რატომ დაინტერესდით თოჯინებით?

-ეს ხელსაქმე ვისწავლე ჩემი მეზობლისგან. ძალიან ლამაზად ქსოვდა და მეც გამიჩნდა სურვილი, მაგრამ მისთვის არასოდეს მითხოვია ესწავლებინა. დავჯდებოდი და საათობით ვუყურებდი თითოეულ მოძრაობას, სახლში რომ ვბრუნდებოდი, ავიღებდი საქსოვ ჩხირებს და ვცდილობდი გამემეორებინა, ასე შევისწავლე.

-როგორ მზადდება თოჯინა?

-პირველ რიგში ვქსოვ თოჯინის თავს და ხელებს, შემდეგ ფეხები და ტანი იქსოვება. შიგთავსში სილიკონს ვათავსებ და საბოლოო პროდუქტის მისაღებად, ტანსაცმლის მოქსოვაა დარჩენილი. ვფიქრობ, კარგი იქნება თუ შევკერავ ტანსაცმელსაც. უფრო დაიხვეწება ამით თოჯინა და მეტად მრავალფეროვანი გახდება. მაგრამ, როგორც აღვნიშნე, მჭირდება საკერავი მანქანა, რომლის შეძენასაც სამომავლოდ ვგეგმავ.

-შთაგონებით ქსოვთ, თუ რომელიმე პერსონაჟის მიხედვით?

-ვქსოვ შთაგონებით, წინასწარ არასოდეს ვიცი რა გამომივა. ვქსოვ მომხმარებლის სურვილის მიხედვითაც. ვითვალისწინებ ბევრ დეტალს, რომელსაც ითხოვენ. რამოდენიმე ნამუშევარი ანიმაციური ფილმებიდანაც გამიკეთებია. ვქსოვ არამარტო თოჯინებს, არამედ ბავშვის წინდებს, სვიტერს, ბალიშებს და კიდევ უამრავ რამეს. ძალიან მიყვარს კერვაც. ხშირად ვკერავდი, სანამ საკერავი მანქანა დამიზიანდებოდა.

-რამდენი თოჯინა გაქვთ მოქსოვილი?

-ზუსტად ვერ გეტყვით, ალბათ დიდი თოჯინა 50 მაინც. საახალწლოდ მოვქსოვე პატარა ნაძვისხის თოჯინები. მქონდა საახალწლო ბალიშების შეკვეთები. ამჟამად ვქსოვ თავისუფალი

დროის ხარჯზე. ისე საკმაოდ დაკავებული ვარ. სამსახურიდან დაბრუნების მერე ვხდები დიასახლისი, ოჯახი დიდ ყურადღებას მოითხოვს. სოფლის მეურნეობითაც ვარ დაკავებული.

-დღეს ეს თქვენი შემოსავლის წყაროა, ხომ არ გიჭირთ რეალიზება?

-ერთ-ერთი შემოსავლის წყაროა, ყველა თოჯინა ეკოლოგიურად სუფთაა და დღესდღეობით ბაზარზე ძალიან მოთხოვნადია, შესაბამისად, მსურველიც ბევრია. ჩემი ნამუშევრები მომხმარებელმა წაიღო გერმანიაში, რუსეთში, საბერძნეთში და დიდი მოწონება დაიმსახურა. ამჟამად, რამდენიმე შეკვეთა მაქვს მიღებული საბერძნეთიდან.

-ძირითადად რა რესურსი სჭირდება, ძვირია მასალა?

-საჭიროა კარგი ყაისნაღი, სინთიპონი, ასევე ვიყენებ ბისერებსაც. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქსოვ ძაფებს. აუცილებლად უნდა იყოს კარგი ხარისხის, თოჯინის გარეცხვის შემთხვევაში ძაფი არ უნდა დაზიანდეს და ისევ ახალივით გამოიყურებოდეს. ვიყენებ მულინის ძაფებს. ძაფების ფასი განისაზღვრება ხარისხის მიხედვით. საკმაოდ ძვირი მიჯდება მასალა, ამის მიუხედავად, ვფიქრობ თოჯინების ფასი ხელმისაწვდომია.

-რა დროს ანდომებთ ერთი თოჯინის შექმნას?

-გააჩნია რა ზომის თოჯინას ვამზადებ. სტანდარტული თოჯინის შექმნას სჭირდება ერთი კვირა. თუ მომხმარებელს სურს დიდი ზომის თოჯინა, შესაბამისად მეტი დრო უნდა. დამზადების დრო განისაზღვრება მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად. ზოგი ითხოვს ქუდი მოვუქსოვო, ზოგს კიდე სურს ჩანთა, ან კაბა.

-სამომავლოდ გამოფენის მოწყობას ხომ არ გეგმავთ?

-შარშან მქონდა პატარა გამოფენა რატევანის კულტურის სახლში. წელს ვგეგმავდი ბოლნისქალაქობაზე გამეტანა ნამუშევრები და გამოფენა -გაყიდვაში მიმეღო მონაწილეობა, სამწუხაროდ, პანდემიამ შემიშალა ხელი. თუ ვინმესგან დაინტერესება იქნება, დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას.

-თქვენი საყვარელი თოჯინა?

-გამორჩეული თოჯინა არ მყავს. ყველა ძალიან მიყვარს და ყველას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. თითოეულის შექმნას იმდენად დიდ დროს და ენერგიას ვუთმობ, შეუძლებელია რომელიმე გამოვყო.

ფუმფულა თოჯინები მყიდველამდე დიდ გზას გადის და ბევრ შრომას მოითხოვს, იმისათვის რომ მეთოჯინის შემოქმედება მეტად გაიზარდოს და მრავალფეროვანი გახდეს, საკერავი მანქანა ესაჭიროება, რითიც საქმესაც გაიმარტივებს და დროსაც დაზოგავს. მოგეხსენებათ, ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოები, თანამედროვე ბაზარზე, საკმაოდ მოთხოვნადია.

მაგდა დევნოზაშვილი

ბოლნისის სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ქალაქ ბოლნისის №1 და სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის მოსწავლეები მალე სრულიად ახალ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სივრცეში გააგრძელებენ სასწავლო პროცესს. შენობასა და გარე პერიმეტრს სრული რეაბილიტაცია უტარდება. ობიექტზე მიმდინარე სამუშაოები საქართველოს პარლამენტის წევრმა გოგი მეშველიანმა ბოლნისის მუნიციპალიტეტის სივრცითი-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან კონსტანტინე კორძაძესთან ერთად მოინახულა. საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ ეტაპზე შიდა პერიმეტრის დემონტაჟი მიმდინარეობს, რის შემდეგაც მოეწყობა საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, სააქტო დარბაზები, სპორტული მოედნები, სველი წერტილები და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა. სკოლების რეაბილიტაცია მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. ხელშეკრულების თანახმად ობიექტების კეთილმოწყობა 2021 წლის ნოემბერში დასრულდება.

დამწყები ფერმერი

დამწყები ფერმერი სოფლის მეურნეობის სექტორში ახალი ტექნოლოგიით ,,ჩინური სათბურის" მოწყობით ჩაერთო და ბებია-ბაბუის კუთვნილ 500 კვ.მეტრ ფართობზე სათბურის მშენებლობა დაიწყო. მსოფლიო პანდემიის გამო შეცვლილი საქმიანობა მიხეილ რეხვიაშვილისთვის ახალ გამოწვევად იქცა. სოფელ რაჭისუბანში მდებარე სასათბურე მეურნეობა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა მოინახულა და ახალგაზრდა ფერმერს მხარდაჭერა აღუთქვა.

პროფესიით გეოლოგისთვის სასათბურე მეურნეობის მოწყობა მარტივი არ ყოფილა. პირველად ამ ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაცია ტელეეთერში გასული სიუჟეტიდან გაიგო. დაინტერესდა და დაიწყო ინფორმაციების მოძიება, ადგილზე ნახა როგორ კეთდება ფერმა, გაიცნო გამოცდილი ადამიანები, და დაიწყო მშენებლობა, მან პირველი მოსავალი პამიდვრის უკვე გამოსცადა, ხოლო კარტოფილის მოსავალს, აღდგომის დღესასწაულისთვის ელოდება. როგორც თავად აცხადებს, სათბურის მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა, თუმცა მთავარი საქმე გაკეთებულია

აღნიშნული ტექნოლოგიით გამზადებული სათბური ბოლნისის მუნიციპალიტეტში ერთადერთია, ჩინური ტექნოლოგია სათბურის მიწის სიღრმეში გაკეთებას და მზის ენერგიაზე გათბობას გულისხმობს. მეპატრონე მომავლისთვის გეგმავს საქმიანობის გაფართოებას და კერძო სექტორში ადამიანების დასაქმებას.

-რატომ და როდის გადაწყვიტეთ სათბურის მოწყობა, თან განსხვავებული ტექნოლოგიის „ჩინური სათბური"?

-სათბურის მშენებლობით დავინტერესდი შარშან, ერთ-ერთ გადაცემაში ვნახე ვიდეო, სადაც საუბრობდნენ ჩინურ სათბურზე და მის უპირატესობაზე. სათბურზე, რომელიც შენდება განსხვავებული ტექნოლოგიით და მზის ენერგიით გათბობას გულისხმობს. ვიდეოს ნახვის შემდეგ ვნახე ის ადამიანები, ვისაც ჰქონდა გამოცდილება მსგავსი სათბურის მშენებლობის. ადგილზე ვნახე კონსტრუქცია, გადავიღე ფოტოები და ვიდეო, მოვიძიე ინფორმაცია, სად უნდა შემეძინა მასალები და პანდემიის დამთავრების შემდეგ, დავიწყე მშენებლობა.

-"ჩინური სათბური" რითაა განსხვავებული სხვა სათბურებისგან, რა უპირატესობა აქვს?

-ეს მოდელი ჩინელებმა ჩამოიტანეს საქართველოში, დამხმარედ ჰყავდათ აზერბაიჯანელები, რომლებმაც შეისწავლეს ეს ტექნოლოგია. მეთოდი გულისხმობს სათბურის მოწყობას მიწის ქვეშ, მიწას ვიღებთ ჯერ პირველ ფენას, ჯამში რამდენიმე მეტრის შემდეგ იკვრება კონსტრუქცია, რაც უფრო მაღალია, მცენარისთვის უკეთესია, ჩინური სათბურის უპირატესობა ის გახლავთ, რომ არ სჭირდება გათბობა, ის თბება მზის სხივებით, მთელი დღის განმავლობაში და შემდეგ კედლებში მიღებული მზის ენერგიის აკუმულირება ხდება სათბურში.

-სათბურის ასაშენებლად, ტერიტორია კონკრეტულად აქ რატომ შეარჩიეთ?

-ეს ტერიტორია ბებია და ბაბუას გადასცეს, მას შემდეგ გვქონდა და არ ვიყენებდით. ეს ადგილი სასათბურე მეურნეობისთვის ხელსაყრელია, სხვა რეგიონებთან შედარებით, აქ მეტი სითბოა, ჩინური სათბურებისთვის ხელსაყრელი პირობებია, მსგავსი სათბურებია მარნეულში, კახეთში.

-მანამდე თუ გქონდათ სოფლის მეურნეობასთან შეხება, სარისკო არ იყო გამოუცდელისთვის?

-გამოუცდელისთვის სარისკო იყო, მაგრამ გამოცდილი ფერმერისთვის არა. ვინც იცის მიწასთან მუშაობა, ჩემთვის მაინც ექსპერიმენტალური იყო, მოსავალს, რასაც ველოდებოდი, მაქსიმალური არ ამიღია, მაგრამ გამოცდილება დავაგროვე და შემდეგი სეზონისთვის მოსავალიც შესაბამისი მექნება, წელს განსაკუთრებულად ციოდა სხვა წლებთან შედარებით და ამ პანდემიის, შეზღუდვების გამო, ხელი შემეშალა. ღამე ტემპერატურას ვერ ვარეგულირებდი, ამიტომ პომიდვრის მოსავალი დაზიანდა.

-სათბურის მოწყობიდან ამ დრომდე, რამდენი მოსავალი მოიწიეთ და ახლა რა კულტურა გაქვთ დათესილი?

-ზაფხულში დავიწყე აშენება, ორი თვე დამჭირდა, შემდეგ პირველივე მოსავალი ნასვენებ მიწაზე იყო პომიდორი, რომელმაც, ხელისშემშლელი ფაქტორების გამო, მალე შეწყვიტა მსხმოიარობა. ახლა დათესილი მაქვს საადრეო ჯიშის კარტოფილი, რომელსაც საგაზაფხულოდ ველოდები. შემდეგ ისევ სხვადასხვა ფერისა და ჯიშის პომიდვრის კულტურას ვაპირებ. ყველა მოსავლის აღების შემდეგ შემაქვს ბიოსასუქი, ნაყიდი მაქვს ქათმის ორგანული სასუქი, რომელიც ახალი კულტურის დარგვამდე შემაქვს და ვანოყიერებ მიწას, არ ვხმარობ ქიმიურ დანამატებს.

-როგორც აღვნიშნეთ, ეს საქმიანობა ახალია თქვენთვის, რა პროფესიის ხართ, რას საქმიანობდით აქამდე?

-ეს საქმიანობა ნამდვილად ახალია ჩემთვის, მიწასთან მუშაობის გამოცდილება მანამდე არ მქონია, პროფესიით სამთო-გეოლოგი ვარ. პანდემიამდე მანქანების იმპორტით ვიყავი დაკავებული.

-ტელეეთერში გასულმა სიუჟეტმა რადიკალურად შეცვალა თქვენი ცხოვრება, დაიწყეთ სათბურის მოწყობა, რა თანხებთანაა დაკავშირებული?

-ეს სათბური 500 კვ.მ მიწის ფართობზეა გაკეთებული, ამ კონდინციამდე მოსაყვანად 55000 ლარი დაჯდა. ამ თანხაში შედის კონსტრუქცია თავისი გადახურვით. თავისი სარწყავი სისტემით, დათბუნება, დამხმარე შენობა-ნაგებობა და სათბურის მოწყობის სამუშაოები ჯერ არ დამისრულებია. თანხის ოდენობა უფრო მეტი იქნებოდა სპეციალისტები, რომ ჩამომეყვანა. ყველაფერი თავად გავაკეთე, მეხმარებოდნენ მეგობრები. სამშენებლო გამოცდილება მქონდა და ძალიან არ გამჭირვებია. საჭიროების შემთხვევაში, ერთჯერადად ვფიქრობ მუშის დაქირავებას, დანარჩენებს თავად ვაკეთებ ყველაფერს. ძალიან დიდი შრომა ჩავდე, მომავალში ვაპირებ საქმიანობის გაფართოებას და შესაბამისად დავასაქმებ ადამიანებს.

ნონა ხუზმიაშვილი

„წარმატებისთვის საჭიროა დაუღალავი შრომა, კარგი ინსტრუმენტი და სიმების მარაგი" - 16 წლის ნოდარ მუჯირიშვილის წარმატების ფორმულა

დრო ბევრ რამეს შლის.. გადის წლები და შეთხზული მითების ამარა ვრჩებით, რომელიც რეალური ადამიანების ნაცვლად გამოვიგონეთ და თავად შევქმენით.. ზოგი ლამაზი და ზოგიც უშნო.. მაგრამ არის სხვა რეალობაც, რომელსაც ჰქვია ცხოვრება და ამ სიტყვის მნიშვნელობა მათ უფრო კარგად იციან, ვინც თავიანთი ოცნებისთვის დღედაღამ შრომობს, იღწვის და არ სძინავს, თუნდაც იმიტომ, რომ საყვარელი საქმე, საყვარელ ადამიანებთან ერთად აკეთოს. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, გაგაცნობთ თექვსმეტი წლის ბიჭს, რომლის დაუღალავმა შრომამ და საქმისადმი დიდმა სიყვარულმა, მისი ოცნება ნაწილობრივ უკვე აასრულა. და დღეს, მას უკვე იცნობენ, როგორც კარგ გიტარისტს და მუსიკოსს, ის ხვიჩა მაღლაკელიძის მოსწავლეა. ნოდარ მუჯირიშვილი, 16 წლის, დაბა კაზრეთის საჯარო სკოლის 11-ე კლასის მოსწავლე.

-გზა დაბიდან ხვიჩას სკოლამდე...

- ალბათ არც ისე გრძელი, მაგრამ არც მოკლე და საკმაოდ შრომატევადი. გიტარის მიმართ ჩემი პირველი ინტერესი გამოიწვია კლასელმა, რომელიც დადიოდა კაზრეთში გიტარაზე. მეც გადავწყვიტე მევლო, მაგრამ რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ, პედაგოგმა ჩემში უფრო მეტი შესაძლებლობები დაინახა და მირჩია, სერიოზულად მოვკიდებოდი ამ საქმეს, გადავსულიყავი თბილისში, უფრო ძლიერ პედაგოგთან. ასე გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში ხვიჩას სკოლა და დღეღამიანი დაუღალავი შრომა. ვუკრავდი საწოლში, ქამის დროს, კომპიუტერთან, გზაში, ღამე, დღე არ ასებობდა ჩემთვის, ჩემი მშობლების შეძახილები: დავიღალეთ!! გაჩერდი ნოდარ! დაგვასვენეე!! და ბოლოს, ლამის სახლიდანაც გამაგდეს გიტარასთან ერთად. ეს ხუმრობით, მაგრამ ყველა შევაწუხე, სტუმარიც რომ მოდიოდა, ისიც კი. ამის შესახებ თავიდანვე გამაფრთხილა ხვიჩა მასწავლებელმა, რომ მზად ვყოფილიყავი. ხვიჩა მაღლაკელიძესთან კვირაში ორჯერ მიწევს გაკვეთილებზე სიარული, დაბიდან დავდივარ.

-და რა ხდება დღეს?

-ჩემი პირველი გამოსვლა იყო „იუმორინა 2020"-ზე. ძალიან დიდი სტიმულია 15 წლის ბიჭისთვის ფილარმონიის დიდი სცენა და ის ბუმბერაზი ადამიანები, ვინც ამ სცენაზე იდგა. ძალიან ბედნიერი ვიყავი, მიხაროდა, რომ ეს მე შევძელი და არცთუ ისე დიდი დრო დამჭირდა ამისთვის. მეორე გამოსვლა იმედის ,,ჩვენი შოუ" იყო, რომელმაც საკმაოდ კარგი აღიარება მომიტანა და ამასთან ერთად ჩემი ოცნებაც ნაწილობრივ აასრულა, რომ დამეკრა ისეთ ცნობილ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან ხვიჩა მაღლაკელიძე და გია ბაღაშვილი. მინდა აღვნიშნო, რომ ხვიჩას სკოლა არის ადგილი, სადაც ვსწავლობთ არა მარტო გიტარას, ვართ მეგობრული გუნდი, ხელს ვუწყობთ ერთმანეთს და გვიხარია თითოეულის წარმატება. ჩემს Facebook გვერდზე ვიდეოს ჰქონდა 100 000-ზე მეტი ნახვა და 4000-ზე მეტი მოწონება, რაც ძალიან მახარებს.

- აქვე გვითხარი, საყვარელი გიტარისტი თუ გყავს?

-რა თქმა უნდა, ეს არის, ცნობილი ესპანელი გიტარისტი Paco de Lucia, რომელიც გარდაიცვალა 2014 წელს. მისი შემოქმედებიდან განსაკუთრებით მომწონს "Almoraima".

-და ამ გადასახედიდან, რას ფიქრობ იმ ბავშვებზე, ვინც დაბაში ცხოვრობს, შეუძლიათ გახდნენ წარმატებულები, მაგრამ ამის რესურსი არ აქვთ.

-პირადად მე ვაპირებ გავყვე მუსიკას და ვფიქრობ, რომ პროფესიონალურ დონეზე შევისწავლო. ასევე მაქვს მოტივაცია, რომ ჩემს მუნიციპალიტეტში გავაკეთო გიტარის შემსწავლელთა სკოლა, სადაც ბავშვები ისწავლიან გიტარას, სამომავლოდ პროფესიონალური სკოლის გახსნასაც ვგეგმავ, რადგან თუ ადამიანს უნდა მიაღწიოს წარმატებას, მას აუცილებლად უნდა შეეწყოს ხელი. ჩემ შემთხვევაში, ამას მშობლები აკეთებენ, რისთვისაც მინდა მადლობა ვუთხრა მათ საჯაროდ, ის შრომა, რაც ჩადეს ჩემში, დავაფასო იმით, რომ წარმატებული ვიყო და გამოცდილება სხვასაც გავუზიაროთ. ჩემს თანატოლებს კი ვეტყოდი, თუ გადაწყვეტენ, რომ გიტარას მოკიდონ ხელი, თავიდანვე საჭიროა კარგი ინსტრუმენტი და სიმების მარაგი ჰქონდეთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

-და ბოლოს, მინდა ულევი წარმატება გისურვო ,,გაზეთ ბოლნისის'' სახელით. მჯერა რომ ყველა ის მიზანი, რაც გაქვს, აგისრულდება და ძალიან მალე საკუთარ გიტარის სკოლაში გესტუმრები.

დარეჯან ოქრუაშვილი

Pandemiyanın başlamasından bir il sonra Bolnisidə epidemiya vəziyyəti necədir- Maka Mamardashvili ilə müsahibə



2020 Müasir dünya koronavirusla bir döyüşlə başladı. Çindən qaynaqlanan indiyə qədər bilinməyən bu yoluxucu xəstəlik Yer üzündə demək olar ki, bütün qitələrə yayılmışdır. 30 Yanvar 2020-ci il tarixində Dünya Səhiyyə Təşkilatı koronavirusu qlobal bir təhlükə hesab etdi və 11 Martı pandemiya elan etdi.

Gürcüstanda təsdiqlənən ilk hadisədən düz bir ay sonra, martın 23-də Bolnisi Bələdiyyəsində ilk KOVİD yoluxmuş şəxs təsdiqləndi. Çətin epidemioloji risk səbəbindən Bolnisi bağlandı, nəzarət nöqtələri quruldu, qida, aptek şəbəkələri və kritik infrastruktur xaricində bütün müəssisələr bağlandı.

Bolnisi bələdiyyəsi olduqca çətin problemlərlə qarşılaşdı, əhalinin ehtiyaclarını öyrənmək üçün 24 saat təcili yardım mərkəzi quruldu, bütün cəmiyyət çox çətin günləri, ayları keçdi, ancaq pandemiya hələ bitməyib. Bir il sonra Bolnisidə epidemiya vəziyyəti necədir. Bolnisi bələdiyyəsinin xalq səhiyyəsinin rəhbəri Maka Mamardaşvili, Bolnisi qəzeti ilə pandemiyanın ildönümünü xülasə edir.

Salam Maka xanım, pandemiyanın başlamasından təxminən bir il keçdi, xahiş edirəm görünməz düşmənlə qorxu və stresdə mübarizə aparmaq məcburiyyətində olduğunuz dövrü xatırlayın, 24 saat, bu gün bu baxımdan nələr dəyişdi, keçmişə nəzər salsaq, ilk dalğadan bu günə qədər hansı statistikalar var?

- Gürcüstanda ilk Kovid-19 hadisəsi 26 fevral 2020-ci ildə təsdiqləndi, bu infeksiya ilə mübarizə apardığımızdan bir il keçdi. Bolnisidə isə ilk hadisə 23 Martda Naxiduri kəndində bildirildi və bu bizim üçün böyük bir çətinlik oldu. Epidemioloji müayinəyə gedəndə narahat olmamalı olduğumuzu və infeksiyaya nəzarət tədbirlərinə ciddi əməl etməli olduğumuzu bildik, eləcədə bir-birimizə də nəzarət etməliydik, daha sonra birinin ardınca ikincisi, üçüncüsü gəldi və müxtəlif ərazi vahidlərində Kovid virusuna yoluxmuş xəstələr aşkarlandı. O vaxtkı mövcud tövsiyə ilə epidemiyaya nəzarət etmək üçün kəndlər təcrid edildi və da təcrid olunmuş kəndlərdə işləmək lazım gəldi, bu da həm bizim üçün, həm də bizimlə 24 saat işləyənlər üçün olduqca çətin və riskli idi. Nəhayət, ilk mərhələdə Bolnisi-də 195 yoluxmuş şəxs qeydiyyata alındı, bunlardan 191-i sağaldı və 1-i tibb işçisi olmaqla 4 nəfər həyatını itirdi. Birinci dalğadan sonra bir ara verdik, iyun ayından sonra Bolnisidə yoluxmuş ilk kovid sentyabrın sonunda aşkarlandı və gündə 50-80 covidə yoluxması ilə nəticələnən fəlakətli bir artım qeydə alındı, nəticədə ikinci dalğa zamanı 2125 təsdiqlənmiş covid hadisəsi var idi ki, bunlardan 34-ü dünyasını dəyişdi, 3-ü müalicə alır, 2088 nəfər isə sağaldı.

Bolnisidə covid infeksiyasının tam statistikasına gəldikdə, ümumilikdə 2320 kovid hadisəsi təsdiqləndi, 3 nəfər müalicə alır, 38 nəfər dünyasını dəyişdi - 2279 nəfər isə sağaldı;

- Tövsiyələrin yumşalmasına paralel olaraq, bu gün Bolnisidə epidemioloji inkişaf necədir?

-Bu gün Bolnisidə bütün məhdudiyyətlərin tədricən götürülməsi fonunda davamlı olması lazım olan mütləq bir pozitiv vəziyyət var. Biz də artıq təhsıı prosesi fiziki mühitdə davam edir. Təhsil prosesi 1 Fevralda başladı, müəllimlərin 20% PSR testindən keçdi və 80 sürətli antigen testindən. Boniss daxilində artıq 2 test mərhələsi keçirildi, nəticə olaraq heç bir hadisə aşkar edilmədi. Mövcud tövsiyələrə görə müəllimlər 14 gündə bir dəfə testdən keçirilir. Uşaq bağçaları da martın 1-dən fəaliyyətə başlayacaq. Qeyd etmək istərdim ki, fevral ayında 2399 sürətli antigen testi və 274 PSR testi daxil olmaqla ümumilikdə 3173 kovid testi keçirilmişdir. 774 şəxsin PSR testi nəticəsində 27 yoluxma hadisəsi təsdiqləndi, son təsdiqlənmiş infeksiya hadisələrinin mənbəyinin Bolnisinin özü ilə əlaqəli olmadığı və əsasən Tbilisidən gətirildiyi nəzərə alınmalıdır.

-Hələ də övladlarını məktəbə və bağçaya göndərib-göndərməməyi düşünən valideynlərə hansı təsəlliverici mesaj göndərərdiniz, bu müəssisələrdə sağlamlıqları nə dərəcədə təhlükəsizdir?

- Məktəbəqədər və təhsil müəssisələrinin müvafiq tövsiyələri var və bunlara tam riayət etməklə işləməlidirlər və belə də olur, ancaq uşaqlara həm evdə, həm də məktəbdə tez-tez xatırlatmaq və hər kəsin yerinə yetirməli olduğu tövsiyələrə nəzarət etmək mütləq vacibdir.

- Üçüncü dalğanı gözləyirsiniz?

-Məhdudiyyətlərin ləğvi ilə, lakin ikinci dalğa kimi geniş miqyaslı olmayacaq, düşünürəm ki, hadisələrdə artım olacaq.

-Semptomlar aşkarlandıqda harada test edə bilərik?

-Semptomlar halında Bolnisi Xalq Sağlamlığı Mərkəzində, Bolnisi Mərkəzi Klinikasında müayinədən keçə bilərsiniz və artq Ltd Triomed-də mümkündür.

Onu da qeyd etmək istərdim ki, Covid üzərində sürətli antigen testi almaq istəyən hər hansı bir əlamətinin olub-olmamasından asılı olmayaraq yuxarıdakı qurumlarla əlaqə qurub testdən keçə bilər.

-Və məbləği ödəməli olacağıq?

-Dövlət proqramı çərçivəsində covid testi pulsuzdur. Öz məqsədləri üçün PSR testinə ehtiyac duyan, məsələn başqa bir ölkəyə səyahət etmək və s şəxslərdən başqa.

- Cəmiyyətə nə məsləhət verərdiniz, necə qoruyaq özümüzü bu sağalmaz xəstəlikdən?

- Yenə də özünümüdafiə vasitəsi maska, məsafə və əl gigiyenasıdır;

Özünüzü pis hiss edirsinizsə, ailə həkiminizlə əlaqə saxlayın və onun tövsiyəsi ilə Covid testindən keçin bu xəstəliyi atlatmaq üçün.

Ölkənin covid peyvəndini gözlədiyini bilirik.

-Maraqlı bir söhbət üçün təşəkkür edirəm, can sağlığı diləyirəm!

"Kəndlərə Dəstək Proqramı" bu ildə həyata keçiriləcəkdir

Bolnisi Bələdiyyəsi üçün "Kəndlərə Dəstək Proqramı" çərçivəsində bölgələrdə həyata keçiriləcək layihələr fondundan 714 000 lari ayrılmışdır. Bələdiyyə, layihələrin icrası üçün 100% maliyyə təmin etməyi öhdəsinə götürmüşdür. Sözügedən proqram çərçivəsində bu il ümumilikdə 1 428000 lari xərclənəcəkdir. "Kəndlərə Dəstək Proqramı" çərçivəsində bu gün Bolnisi Bələdiyyə Başçısı, Məkan-Bölgə Düzenleme və İnfrastruktur Xidmətinin Başçısı ilə birlikdə Akaurti, Potskhveriani, Dzedznvariani və Köhnə Kveşi sakinləri ilə görüşdü, burada zəruri infrastruktur prioritetləri əsas tələb olaraq İçməli su, daxili yolların düzəldilməsi və xarici işıqlandırılması qalır. Əhali ilə görüşlər kovid qaydalarına tam uyğun olaraq bir ay davam edəcək.

Bolnisi Bələdiyyəsi üçün Kəndlərə Dəstək Proqramı çərçivəsində Bölgələrdə həyata keçiriləcək Layihələr Fondundan 714 000 lari ayrılmışdır. Bələdiyyə, layihələrin icrası üçün 100% maliyyələşdirməyi öz üzərinə götürür. Bu proqram çərçivəsində bu il Bolnisi şəhərində ümumilikdə 1 428 000 lari xərclənəcəkdir.

“Kəndlərə dəstək proqramı çərçivəsində bələdiyyənin kəndlərində əhali ilə görüşlərə başladıq. Əhalinin iştirakı ilə hər kəndin ehtiyacları müəyyənləşdiriləcək və bu problemlər həll ediləcəkdir. Düşünürəm ki, bu proqram çərçivəsində bu il əhalimiz üçün çox vacib layihələr həyata keçirəcəyik. Qeyd etmək lazımdır ki, iclaslar tövsiyələrə tam uyğun olaraq keçirilir. Əhalinin bu prosesdə fəal iştirak etməsinə şadam ”,-deyə Bolnisi Bələdiyyə meri Davit Şerazadişvili.

არემჯი

სიახლეები

რიჩ მეტალს გრუპი

კომპანია „არემჯი“ ბიზნეს ასოციაციის წევრი გახდა

RMG
RICH METALS GROUP

BAG
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

საქართველოს ბიზნეს ასოციაციას, რომელიც საქართველოს 70-ზე მეტ წამყვან კომპანიებს აერთიანებს და ქვეყანაზე ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებას და ბიზნეს სექტორის გაძლიერებას ემსახურება, ახალი წევრი კომპანია „არემჯი“ შეუერთდა.

ბიზნეს ასოციაციის წევრობამდე კომპანიამ მნიშვნელოვანი გზა გაიარა სხვადასხვა მიმართულებით. დანერგა და განახორციელა ახალი ინოვაციური პროექტები, როგორც **„არემჯის“ კორპორაციული დირექტორი კახა მჭედლიშვილი აღნიშნავს კომპანია მზადაა გამოიყენოს ეს** პლატფორმა სწორად.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წევრობა. სანამ აქამდე მოვიდოდით გავიარეთ გამოწვევებით და პოზიტიური სიახლეებით დატვირთული რამდენიმე წელი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო გარდამტეხი პერიოდი ჩვენი კომპანიისათვის ეკოლოგიის, შრომის უსაფრთხოებისა და გადაიარაღების მიმართულებით. ბოლო 2 წელიწადში შევძელით კომპანიაში მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის დანერგვა და პანდემიური წლის მიუხედავად, არაერთი საინტერესო და მდგრადი პროექტის წამოწყება. ვფიქრობ საქართველოს ბიზნეს ასოციაცია სწორედ ის პლატფორმაა, სადაც ჩვენს ახალ პროექტებს უფრო ახლოს გავაცნობთ სხვა კომპანიებს, რომლებიც თავის მხრივ შემოგვიერთდებიან და გაგვიზიარებენ იმ დიდ გამოცდილებას, რომელიც მათ ამა თუ იმ სფეროში აქვთ. ასეთ რთულ პერიოდში, რომელიც ახლა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოშია პანდემიის გამო, ვფიქრობ, რომ ბიზნესს სჭირდება ერთად დგომა, მხარდაჭერა და იმ ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლა რაც ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენთაგანისთვის.“

კომპანია პანდემიის გამო შეჩერებული პროექტების განხორციელებას 2021 წლისთვის გეგმავს. ერთ-ერთი არის ინდუსტრიული ტურიზმი, რომელიც ახალი მიმართულება იქნება, ის უფრო გამჭვირვალეს და საინტერესოს გახდის კომპანიის მუშაობას საზოგადოებისათვის. ასევე არის ბოლნური მეღვინეობის პროექტი, რომელიც წარმატებულად მუშაობს, დაიწყო რამდენიმე პატარა ოჯახით და დღეს უკვე 70-მდე ბოლნისელ მეღვინეს აერთიანებს. კომპანია გეგმავს საერთაშორისო სტანდარტების ღვინის სახლის მოწყობას, რაც დაეხმარება მათ ღვინის რეალიზებაში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

„მოხარულნი ვართ და მივესალმებით „რიჩ მეტალს გრუპის“ („არემჯი“) “საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში” გაწევრიანებას, სადაც აღნიშნული სექტორი საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი. გარდა სპეციფიური და საინტერესო საქმიანობისა „არემჯი“ არის ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელი, რაც მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობისთვის. შესაბამისად, ბიზნეს ასოციაცია აქტიურად განაგრძობს მუშაობას ამ სფეროში მომუშავე კომპანიების ინტერესების დაცვისა და ადვოკატირებისთვის. ვიმედოვნებთ, რომ „არემჯის“ და “საქართველოს ბიზნეს ასოციაციის” თანამშრომლობა ნაყოფიერი და ორმხრივად სარგებლიანი იქნება“,- განაცხადა **“საქართველოს ბიზნეს ასოციაციის” აღმასრულებელმა დირექტორმა, ლევან ვეფხვაძემ.**

ცარო დალაქიშვილი

,,არემჯის კომპერის“ ტექნოლოგიური კვლევის ლაბორატორიის უფროსი

ცარო დალაქიშვილი „არემჯი კოპერის“ ტექნოლოგიური კვლევის ლაბორატორიის უფროსია, ის უკვე 40 წელია დიდი სიყვარულით და მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურება საქმეს, რომელიც მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ყოველ სამუშაო დღეს ისეთივე მონდომებით და პასუხისმგებლობით უდგება, როგორც კარიერის დასაწყისის პირველივე წლებში. როგორც ცარო დალაქიშვილი გვიამბობს კვლევითი პროცესები ძალიან საინტერესოა, წლებთან ერთად დაიხვეწა და გაუმჯობესდა ტექნიკა-დანადგარები.

„დავიბადე დმანისის რაიონში, სოფელ მაშავერაში, უმაღლესი განათლება მივიღე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამთო ფაკულტეტზე, მარგი წიაღისეულის გამდიდრების სპეციალობით. მუშაობა, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე კვლევით ლაბორატორიაში დავიწყე ფლოტატორად, შემდეგ ინჟინერ-ტექნოლოგად, 1991 წლიდან ვმუშაობ კვლევით ლაბორატორიის უფროსის პოზიციაზე. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, საინტერესო პროცესია. ლაბორატორიაში ხდება ყველა ტიპის მადნის გამდიდრება, მიღებული შედეგების მიხედვით მადნის მიწოდება გამამდიდრებელ ფაბრიკაში, იქ კი მადნის გამდიდრება მიმდინარეობს ჩვენს მიერ შემუშავებული რეაგენტული რეჟიმით. წელს კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, 2020 წლის სამთოელად დავსახელდი, რაც ძალიან მახარებს და სტიმულს მმატებს. ეს ჩემი გუნდის დამსახურებაა, მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი ამდენი წლის შრომის პერიოდში, კომბინატი ასეთი წარმატებული არ ყოფილა. ყველაფერი კეთდება ჩვენი დიდი კოლექტივის თოთოეული წევრის კეთლდღეობისთვის“.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი
რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.